

ენათმეცნიერება Linguistic

ნივთიერებათა სახელები ქართულ ჟესტურ ენაში¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.06>

SJIF 2025: 8.584


ნივთიერებათა სახელები ქართულ ჟესტურ ენაში იმეორებს სამეტყველო ენების ლინგვისტურ სისტემას. ეს სიტყვა-ჟესტები არ გვხვდება მრავლობითში. ეს არის უთვლადი ფორმები. ცხადია, ქართული ჟესტური ენა ვერ გადმოგვცემს მენდელეევის სისტემას, რამდენადაც ამ ენაში ასეთი ცნებების გამოყენების საჭიროება ნაკლებია. ამ ენაში ნივთიერებათა სახელების გადმომცემი ჟესტები ნაწილობრივ იკონური ფორმებია, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითები [მახარობლიძე 2015]



წყალი – უფერული, გამჭვირვალე სითხე, რომელიც იხმარება სასმელად, სარეცხად, საბანად, სარწყავად


ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]




რძე – თეთრი ან მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც მშობიარობის შემდეგ ჩვილი შვილების საკვებად გამოყოფენ ქალი და ძუძუმწოვარი ცხოველები მკერდის ჯირკვლებიდან.

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ მიმართულია ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ფალანგებში ოდნავ მოხრილია გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, სრულდება ხელების კონფიგურაციათა და პოზიციათა მონაცვლეობითი, განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ღვინო – ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი.

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, ყელს ეხება საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.




ოქრო – ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი, იხმარება ღირებულების საზომად, აგრეთვე სამკაულების დასამზადებლად

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



რკინა – ქიმიური ელემენტი, ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მძიმე, მოვერცხლისფრო ლითონი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელის გაშლილ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჭედადი, მსუბუქი ლითონი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრეკადი“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ლიტერატურა:

1. **დემეი, კუიჯი 2008:** Demey, E. & van der Kooij, E. Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. *Lingua*, 118, 1109–1138.
2. **ემორეი, გრაბოვსკი, მაკულაოუფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004 :** Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.
3. **მახარობლიძე 2015:** მახარობლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ
4. **მახარობლიძე 2012:** მახარობლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
5. **მახარობლიძე 2015:** მახარობლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144
6. **მეირი 2010 :** Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.
7. **პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019 :** Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.
8. **თაუბი 2001 :** Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.

Tamar Makharoblidze*Ilia State University**Tbilisi, Georgia*tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.06>**SJIF 2025:** 8.584

Material nouns in GESL¹

Material nouns in GESL repeat the system of spoken languages. These signs do not accept the plural forms, since they are uncountable nouns. It is clear that GESL does not have the terms of the all system of Mendeleev, as there is no request for such signs in this language. As we can see from the examples in the presented paper, in GESL the nouns of material are partly iconic.

რეცენზენტი: პროფესორი ახმად მამელი

¹ *This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]*